ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 25

17 ნოემბერი, 2023 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:30

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032331753-03; 13.11.2023)
2. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, რამაზ ჩხიკვაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის გურამ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის ქართველი ოფიცრის დიმიტრი ჩრდილელის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ქუჩის გაგრძელების, მასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის და ოთხი შესახვევისთვის მაგნოლიის და აკაციის სახელების მინიჭების შესახებ
6. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კობა აბზიანიძის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის სოსო ღვინიაშვილის სახელის მინიჭების შეხახებ
7. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კობა აბზიანიძის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მწერლის ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გია მოსეშვილის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩის გაგრძელების შესახებ
11. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის გაგრძელების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ელო ანდრონიკაშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ელო ანდრონიკაშვილის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზურაბ მაჩხანელის ქუჩის გაგრძელების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ალიოშა ჯაფარიძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

15. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში ბაგრატის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ბაგრატის I -ის გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, საბატონოს ქუჩის, ჩიხების ნუმერაციის ცვლილების შესახებ
17. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, რაშიდ ბეიბუთოვის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის რაშიდ ბეიბუთოვის სახელის მინიჭების შესახებ
18. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გია ბერუაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის გია ბერუაშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შეახებ
19. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სიხარულის ქუჩის I ჩიხისთვის აკაკი გელოვანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
20. ქალაქ თბილისიში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიდგორში ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევის სიტუაციური ნახაზის დაზუსტების შესახებ
21. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კობა სერგიას ქუჩის გაგრძელების შესახებ
22. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ
23. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთისთვის, იოანე ზოსიმეს ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იოანე ზოსიმეს სახელის მინიჭების შესახებ
24. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, დიდების ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის დიდების II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032331753-03; 13.11.2023)

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ შესწავლილი იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მერის #12-032331753-03 წერილი), თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 700,912.4 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 632,132.6 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 68,779.8 ათასი ლარით.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ, ბიუჯეტის პროექტის დამუშავებისას ყურადღება გამახვილდა კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02.09.01.).

კომისიის მიერ შესწავლილი იქნა 02.09.01 პროგრამული კოდი, რომელიც ქუჩების ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟისთვის გამოყოფილ თანხებს ეხება. ხსენებული სამუშაოებისთვის წარმოდგენილი პროექტით 500 000 ლარია გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში შენობა-ნაგებობებისა და გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი აბრების მონტაჟის კუთხით ქალაქში მნიშვნელოვანი პროგრესია. ყოველწლიურად, თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სამისამართო საკითხების მოგვარების მიზნით 500 000 ლარი იხარჯება.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2015 წელს კონკურსის წესით შეირჩა ახალი დიზაინის სამისამართო აბრის ესკიზი. ხსენებული ესკიზით დამზადებული აბრების მონტაჟი 2016 წლიდან დაიწყო. საერთო ჯამში, ხსენებული სამუშაოებისთვის ბიუჯეტიდან 2023 წლის ჩათვლით, 4, 000.0 ათასი ლარი იქნება დახარჯული.

სამუშაოების წარმოების პარალელურად, ყოველწლიურად იზრდება სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიისთვის მოქალაქეების მომართვა აბრების დამონტაჟების მოთხოვნით. გარდა მომართვიანობისა, ასევე მზარდია საკრებულოს მიერ გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე გამოცემული აქტების რაოდენობა, რასაც შემდგომ, ბუნებრივია, მოჰყვება სამისამართე აბრების განთავსება.

2023 წელს აბრების განთავსების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში ერთეული აბრის დამზადება/მონტაჟის ღირებულებამ 78 ლარი შეადგინა. წლის ბოლომდე აბრა დაახლოებით 5 800 სამისამართო ერთეულზე განთავსდება. გასულ წელს, გამოყოფილი 500 000 ლარის ფარგლებში, რეაბილიტირებულ არეალებში 20 ერთეული განათებული მანიშნებელი აბრა დამონტაჟდა, რომლის დამზადების ღირებულებაც აღემატება

სტანდარტული სამისამართო აბრის ფასს. 2023 წელს, ხსენებული აბრების დამზადების ღირებულებამ 24 000 ლარი შეადგინა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ 2024 წლის განმავლობაში არ მოხდეს იმ სამისამართო ერთეულების რაოდენობის შემცირება, სადაც აბრები დამონტაჟდება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც წლიდან-წლამდე აბრისთვის საჭირო მასალის ფასის ცვალებადობით, ისე ახალი სახის განათებული აბრების რაოდენობის ზრდით.

ქუჩაზე აბრების სისტემურ განახლებას წინ უსწრებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შენობა-ნაგებობების ნუმერაცია და ორთორუკების მომზადება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების განცხადებით, სამსახურს აქვს შესაძლებლობა წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზარდოს დანომრილი სამისამართო ერთეულების რაოდენობა.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საჭიროდ მიიჩნევს, 02.09.01 კოდში აბრების განთავსების მიზნით გამოყოფილი თანხის 600 000 ლარამდე გაზრდას და ბიუჯეტის პროექტის დაბრუნებას ცვლილებების გათვალისწინების მიზნით.

ხსენებულის გათვალისწინებით, საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ, თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის წარმოდგენილი რედაქციის, შენიშვნების გათვალისწინების მიზნით მერთან დაბრუნებას.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: „ქ, თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი რედაქციის, შენიშვნების გათვალისწინების მიზნით დაბრუნდეს მერთან.

2. **ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, რამაზ ჩხიკვაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მსახიობის გურამ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკის რაიონის გამგებლის დავით კვინიკაძის წერილი, რომელიც გვიგზავნის შალვა ნუცუბიძის ფერდობის მე-3 მ/რაიონის მაცხოვრებლების განცხადებას, რომლითაც ითხოვენ შალვა ნუცუბიძის მე-3 მ/რაიონის, მე-2 კვარტლის, კორპ.#9 მიმდებარე ტერიტორიასთან არსებულ სკვერს მიენიჭოს მსახიობ გურამ ფიცხალავას სახელი.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. როგორც დადგინდა, ხსენებულ ტერიტორიაზე მდებარეობს ორი სკვერი, კომისიის მიერ სახელდების მიზნით შერჩეულ იქნა ერთ-ერთი სარეკრეაციო სივრცე. აღსანიშნავია, რომ გურამ ფირცხალავა ცხოვრობდა აღნიშნული სკვერის მიმდებარედ.

გურამ ფირცხალავა, კინო და ტელემსახიობია. იგი 71 ფილმშია გადაღებული. გურამ ფირცხალავა იყო საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. 2000 წელს დაჯილდობდა ღირსების ორდენით.

სახელდებასთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართა მსახიობის ოჯახის წევრებთან. გურამ ფირცხალავს მეუღლის, თანგული სიხარულიძის განცხადებით, ოჯახი მადლიერია საკრებულოს გადაწყვეტილებით და სახელდების შემდგომ აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სკვერის გახსნის ღონისძიების მომზადების პროცესში.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნა და ვაკის რაიონში, რამაზ ჩხიკვაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს მსახიობ გურამ ფირცხალავას სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, რამაზ ჩხიკვაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს მსახიობ გურამ ფირცხალავას სახელი.

3. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი. კომისიაში შემოსულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისში რომელიმე ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გოჩა ჩოგოვაძის სახელი.

გოჩა ჩოგოვაძის თაოსნობით 1971 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაარსდა მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა, რითაც ჩვენს ქვეყანაში საფუძველი დაედო მართვის ავტომატური პრინციპების შემოტანას საწარმოების მართვაში. გოჩა ჩოგოვაძე მართვის ავტომატიზებული სისტემების ქართული სკოლის ფუძემდებელია და მისი სამეცნიერო კვლევები ეხება ისეთ ფუნდამენტურ მიმართულებას, როგორიცაა კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი. 1981-1986 წწ. ის მუშაობდა საფრანგეთში, იუნესკოს სათავო ოფისში განათლების სექტორის ინფორმატიკის განყოფილების უფროსად. 1990 წელს მისი თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს შეეცვალა სტატუსი, მას გადაერქვა სახელი და გახდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რის საფუძველზეც უნივერსიტეტში. შეიქმნა ახალი, ჰუმანიტარული სპეციალობების სამეცნიერო და სასწავლო ერთეულები.

გოჩა ჩოგოვაძე არის 20 მონოგრაფიის, 6 გამოგონებისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მას მიღებული აქვს ისეთი ჯილდოები, როგორიცაა-გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედალი, საპატიო ნიშნის ორდენი და ღირსების ორდენი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია თბილისში არსებობდეს გოჩა ჩოგოვაძის სახელობის ქუჩა.

ქუჩა შეირჩა ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან. ხსენებული ტერიტორია ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად განაშენიანდა, შერჩეული ქუჩა არის ე.წ. ზღვისუბნის ხევში მშენებარე ახალ პარკამდე მისასვლელი ერთ-ერთი გზა, ქუჩაზე არის საგანმანათლებლო და საცხოვრებელი შენობა ნაგებობები.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის სახელი.

4. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის ქართველი ოფიცრის დიმიტრი ჩრდილელის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე ზურაბ კახაბრიშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს მითითებული საკადასტრო კოდის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან, მასთან განვითარებულია ერთი შესახვევი.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია უსახელო ქუჩას მიენიჭოს ვაკის პარკში დახვრეტილი ქართველი ოფიცრის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პოლკოვნიკის დიმიტრი ჩრდილელის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ შესახვევს მიენიჭოს ქართველი ოფიცრის დიმიტრი ჩრდილელის სახელი

5. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ქუჩის გაგრძელების, მასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის და ოთხი შესახვევისთვის მაგნოლიის და აკაციის სახელების მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ წარმომადგენლის ეთერ ღონღაძის წერილი, რომლითაც ითხოვს კომპლექსში „მწვანე ქალაქი ლისზე“ უსახელო ქუჩებისთვის სახელების მინიჭებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. ხსენებული უბანი აშენებულია სს „ლისი დეველოპმენტის“ მიერ განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში. პირველ ეტაპზე გაყვანილი გზების სახელდება საკრებულომ 2016 წელს განახორციელა, კომპანიამ მწვანე კონცეფციის ფარგლებში მობინადრეებთან კონსულტაციით საკრებულოს შესთავაზა: ლისის, თუთის, ტირიფის მუხის სახელები. შემდგომი განაშენიანებული ტერიტორიის სახელდებაზე საკრებულოს ინიციატივა წარედგინა 2023 წელს. კომისია შესაძლებლად მიიჩნევს ხსენებულ კომპლექსთან

მიმართებით სახელწოდებების შერჩევის ძველი პრაქტიკის გაზიარებას და ქუჩებისთვის მაგნოლიისა და აკაციის სახელების მინიჭებას. ერთი ქუჩის შემთხვევაში კი გრძელდება სახელდებული ლისის ქუჩა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ლისის ქუჩის გაგრძელების, მასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩას და ოთხ შესახვევს მიენიჭოს მაგნოლიის და აკაციის სახელები.

6. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კობა აბზიანიძის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის სოსო ღვინიაშვილის სახელის მინიჭების შეხახებ**
7. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კობა აბზიანიძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით მოთხოვნილია მისამართების დაზუსტება.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია, როგორც დადგინდა, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მინიჭებული აქვს კობა აბზიანიძის სახელი. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას ზეპირი განცხადებით ასევე მომართა ორხევის წმ. ნინოს ეკლესიის წინამძღოლმა, მისი განცხადებით ქუჩისთვის კობა აბზიანიძის სახელის მინიჭება 1995 წელს განხორციელდა არასწორად, თავდაპირველად შერჩეული იქნა წმ. ნინოს ეკლესიასთან გამავალი ქუჩა, თუმცა სახელი მიენიჭა მის პარალელურად მდებარე ქუჩას. სოსო (კობა) აბზიანიძე ცხოვრობდა ეკლესიის მიმდებარედ არსებულ დასახლებაში. 2022 წლის 8 აგვისტოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ თბილისში არსებულ ქუჩებს მიანიჭა რუსეთ-საქართველოს ომში გარდაცვლილ მებრძოლთა სახელები. სხდომის შესახებ მედიაში გასული ინფორმაციის შემდგომ კომისიას მომართა სოსო ღვინიაშვილის დედამ და გამოთქვა სურვილი თბილისში არსებულ ერთ-ერთ ქუჩას მინიჭებოდა მისი შვილის სახელი, კომისიამ შეისწავლა ინფორმაცია სოსო ღვინიაშვილთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია თბილისში არსებობდეს მისი სახელობის ქუჩა. კომისია მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კობა აბზიანიძის ქუჩას უნდა მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის სოსო ღვინიაშვილის სახელი ხოლო ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის მონაკვეთს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კობა აბზიანიძის სახელი

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეექვსე და მეშვიდე საკითხებს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, კობა აბზიანიძის ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის სოსო ღვინიაშვილის სახელი

სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კობა აბზიანიძის სახელი

8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მწერლის ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაცით, კომისიაში შემოსულია საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის ალექსანდრე ნალბანდოვის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ყირგიზი მწერლის ჩინგიზ აითმათოვის სახელი.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ორგანიზებულ იქნა შეხვედრა ყირგიზეთის ელჩთან. კონსულტაციების შედეგად შეიცვალა სკვერის მდებარეობა, ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნული საკითხის ახალი ფორმით ინიცირება ელჩ კაირატ ოსმანალიევთან მიღწეული ზეპირი შეთანხმების შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩინგიზ აითმათოვის სკვერის სახელდების საკითხის წარმოდგენილი ფორმით სხდომაზე განხილვა კომისიის მიერ არ იქნა მხარდაჭერილი.

9. **ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გია მოსეშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი გააცნო. კომისიაში შემოსულია მოქალაქე მაია მოსეშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს ჩუღურეთის რაიონში მდებარე რომელიმე ქუჩას მიენიჭოს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გია მოსეშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. გია მოსეშვილი სამაჩაბლოში დაღუპული მებრძოლი, თბილისის სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებების ლეგიონის მილიციის უმცროსი სერჟანტი იყო. 1990 წელს კონფლიქტის დაწყებისთანავე ის ჩაერთო სამაჩაბლოში მიმდინარე საომარ მოქმედებებში. სნაიპერის მიერ ნასროლმა ტყვიამ მისი სიცოცხლე შეიწირა.

2007 წლის 17 სექტემბერს სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

გია მოსეშვილი ცხოვრობდა ჩუღურეთის რაიონში, შესაბამისად კომისიამ შეარჩია ჩუღურეთის რაიონში გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთი, რომელიც ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ქუჩად. ასევე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს გია მოსეშვილის სახელი. აღსანიშნავია, რომ ჩიტაიას ქუჩა, ფიროსმანის მოედანთან იყოფა ორ მონაკვეთად, ერთი მონაკვეთი სრულდება ხიდის ქვეშ, ხოლო მეორე ფიროსმანის ქუჩის კუთხიდან მიუყვება რკინიგზას და სრულდება გია ყანჩელის ქუჩასთან, ხსენებულ მონაკვეთთან ასევე წარმოქმნილია მცირე ზომის სკვერი. გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთი, ფიროსმანის ქუჩიდან გია ყანჩელის ქუჩამდე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად და მიენიჭოს გია მოსეშვილის სახელი. ცვლილება ასევე მოაწესრიგებს ხსენებულ ტერიტორიაზე არსებულ დამისამართების სირთულეებს.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში გიორგი ჩიტაიას ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გია მოსეშვილის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე ლევან ქოჩუას მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ავშნის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ქუჩის გაგრძელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, გაგრძელდეს ავშნის ქუჩა.

11. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის გაგრძელების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიას განსახილველად წარუდგინა მეთერთმეტე საკითხი. მ/წელს კომისიას ზეპირი განცხადებით მომართა მოქალემ მალხაზ ჯღარკავას ქუჩაზე შენობა-ნაგებობების ნუმერაციასა და სამისამართო აბრების განთავსებასთან დაკავშირებით.

კომისიამ ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი დაიწყო სამისამართო სამსახურთან, დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიასთან კონსულტაციის შემდეგ, გარემოებების შესწავლისას დადგინდა, რომ მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის გეოგრაფიული მოხაზულობის გამო, მის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთებისვის ნუმერაციის მინიჭება შეუძლებელია, ვინაიდან საწყისი წერტილი არ არის დაერთებული ქუჩაზე.

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის გაგრძელება შესაძლებელია, რის შემდეგაც მოხდება შენობა-ნაგებობების ნუმერაცია და სამისამართო აბრების განთავსება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში გაგრძელდეს მალხაზ ჯღარკავას I შესახვევი.

12. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ელო ანდრონიკაშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ელო ანდრონიკაშვილის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას მოქალაქე გრიგოლ მარტინოვის მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ნაძალადევის რაიონში, ელო ანდრონიკაშვილის ქუჩასთან და შესაძლებელია მისი გაგრძელება. ქუჩასთან განვითარებულია უსახელო შესახვევი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაძალადევის რაიონში, გაგრძელდეს ელო ანდრონიკაშვილის ქუჩა და ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ელო ანდრონიკაშვილის II შესახვევის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთორმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ელო ანდრონიკაშვილის ქუჩის გაგრძელებას და ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ელო ანდრონიკაშვილის II შესახვევის სახელი.

13. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზურაბ მაჩხანელის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე ანასტასია რეხვიაშვილის მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სამგორის რაიონში, ზურაბ მაჩხანელის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელი მოხდეს ქუჩის გაგრძელება.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეცამეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, გაგრძელდეს ზურაბ მაჩხანელის ქუჩა.

14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ალიოშა ჯაფარიძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე გელა ქავთარაძის მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის შესახვევს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთოთხმეტე საკითხი..

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ალიოშა ჯაფარიძის I შესახვევის სახელი.

15. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში ბაგრატის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ბაგრატის I -ის გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ განიხილა მეთხუთმეტე საკითხი. მ/წლის 27 მარტს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე მოჰამედ ოსმან ტაჰა მოჰამედ შალაბის მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში ბაგრატის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ქუჩის გასასვლელს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში ბაგრატის ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს ბაგრატის I-ის გასასვლელის სახელი.

16. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, საბატონოს ქუჩის, ჩიხების ნუმერაციის ცვლილების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას რომლითაც ითხოვს საბატონოს ქუჩის ჩიხების ნუმერაციის ცვლილებას.

როგორც ცნობილია, სახელდებული ქუჩების ნუმერაცია ხორციელდება ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით, საბატონოს ქუჩის შემთხვევაში ჩიხების ნუმერაცია იზრდება პერიფერიიდან ცენტრისკენ, რაც შეუძლებელს ხდის ნუმერაციის სწორად განხორციელებას.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბატონოს ქუჩის ჩიხების ნუმერაცია შეიცვალოს დანართის შესაბამისად, ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით, ზრდადობით.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთექვსმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბატონოს ქუჩის ჩიხების ნუმერაცია შეიცვალოს დანართის შესაბამისად.

17. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, რაშიდ ბეიბუთოვის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის რაშიდ ბეიბუთოვის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე სარქარ ბაირამოვის მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს კრწანისის რაიონში, რაშიდ ბეიბუთოვის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ქუჩის გაგრძელება. ქუჩასთან განვითარებულია ერთი უსახელო ჩიხი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეჩვიდმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, გაგრძელდეს რაშიდ ბეიბუთოვის ქუჩა და ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს რაშიდ ბეიბუთოვის სახელი.

18. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გია ბერუაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის გია ბერუაშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შეახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე გიგა ფაცაციას მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს კრწანისის რაიონში, გია

ბერუაშვილის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ქუჩის უსახელო გასასვლელს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთვრამეტე საკითხი..

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, გია ბერუაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს გია ბერუაშვილის I გასასვლელის სახელი.

19. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სიხარულის ქუჩის I ჩიხისთვის აკაკი გელოვანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე მიხეილ ჯეიმს სონდერსის განცხადება, რომლითაც ითხოვს სიხარულის ჩიხის სახელის ცვლილებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით რეალურად სიხარულის I ჩიხი წარმოადგენს აკაკი გელოვანის ქუჩის გაგრძელებას.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს სიხარულის I ჩიხის ცვლილება და მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბურთალოს რაიონში, სიხარულის ქუჩის I ჩიხს მიენიჭოს აკაკი გელოვანის ქუჩის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეცხრამეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, სიხარულის ქუჩის I ჩიხს მიენიჭოს აკაკი გელოვანის ქუჩის სახელი.

20. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიდგორში ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევის სიტუაციური ნახაზის დაზუსტების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით მ/წლის 21 სექტემბერს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე დავით რაჭველიშვილის მიმართვის საფუძველზე, ითხოვს საბაზისო რუკის ფენაზე მონაცემების კორექტირებას. კერძოდ, მოთხოვნილია საავტომობილო გზის მანიშნებელი ყვითელი კონტურის იმ მონაკვეთის წაშლა, რომელიც კვეთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში განმცხადებლის საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავ ნივთს საკადასტრო კოდით 01.72.14.002.038.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია, ქუჩის სახელდება განხორციელდა 2012 წელს, როგორც დგინდება ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევის მონაკვეთი კვეთს რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს და არსებობს სიტუაციური ნახაზის დაზუსტების საჭიროება იმგვარად, რომ სახელწოდება გაუქმდეს რეგისტრირებული ნაკვეთის ნაწილში.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეოცე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, სოფელ დიდგორში დაზუსტდეს ორასი თავდადებული მხედრის I შესახვევის სიტუაციური ნახაზი.

21. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კობა სერგიას ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე ბეჟან ფარცვანიას მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ვაკის რაიონში, აგარაკში კობა სერგიას ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ქუჩის გაგრძელება.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეერთე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, გაგრძელდეს კობა სერგიას ქუჩა.

22. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე სოფიო გიკაშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით თხინვალაში, უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ქუჩის გასასვლელს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეორე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს ლეო კვაჭაძის I გასასვლელის სახელი.

23. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთისთვის, იოანე ზოსიმეს ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იოანე ზოსიმეს სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით 2023 წელს, ისნის რაიონში, იოანე ზოსიმეს, ჯუმბერ ლეჟავას და მასთან არსებული უსახელო ქუჩის გაერთიანებით თბილისის მერიის მიერ წარმოიქმნა ისნისა და მახათას აღმართის დამაკავშირებელი ახალი გზა.
ტერიტორიაზე განხორციელდა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო და ქალაქმშენებლობითი სახეცვლილება, რამაც მოახდინა არსებული გზათა ქსელის კორექტირება და დღის წესრიგში დადგა სახელდების აუცილებლობა.

არსებული მდგომარეობით ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მცირე მონაკვეთი ექცევა ახალწარმოქმნილი გზის არეალში, ხსენებულ მონაკვეთს აგრძელებს სახელწოდების არმქონე მონაკვეთი და ახალი გზის არეალში ყვება იოანე ზოსიმეს ქუჩა.

არსებულის გათვალისწინებით კომისია საჭიროდ მიიჩნევს იოანე ზოსიმეს ქუჩას, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას და ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის ნაწილს მიენიჭოს იოანე ზოსიმეს ქუჩის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამესამე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთს, იოანე ზოსიმეს ქუჩის მონაკვეთს და მასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს იოანე ზოსიმეს სახელი.

24. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, დიდების ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის დიდების II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის წერილი, რომლითაც ითხოვს კიკეთში, უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე დიმიტრი ვაჩნაძის მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს კიკეთში, დიდების ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის შესახვევს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეოთხე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, დიდების ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს დიდების II შესახვევის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე